

საქართველოს კანონი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და მიმართულებებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლებს და სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

მუხლი 2. სამსახურის სამართლებრივი სტატუსი

სამსახური არის სამართალდამცავი ორგანო, რომელიც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. სამსახურის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. სამსახურის მოსამსახურე მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

3. სამსახურის მოსამსახურეს ეკრძალება:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ან მასში მონაწილეობა;

ბ) პირად, კომერციულ, პროფესიულ ან/და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული, აგრეთვე კანონით დაცული სხვა ინფორმაციის გამჟღავნება კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

გ) შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზება ან/და ჩატარება, ასევე მასში მონაწილეობის მიღება;

დ) შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან რაიმე თანამდებობის დაკავება რომელიმე სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, ან რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ანდა რაიმე თანამდებობის დაკავება სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

მუხლი 5. საერთაშორისო ურთიერთობანი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახური თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სათანადო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

თავი II

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 6. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ბ) გადასახადითა და საბაჟო გადასახადელებით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

გ) გადასახადის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

დ) გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადასახადების, საბაჟო გადასახადელებისა და სხვა სახელმწიფო გადასახადელების ადმინისტრირება;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის გამოვლენა, თავიდან აცილება და წინასწარი გამოძიება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ო) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოების და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ამ ორგანოთა თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფა;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამოხელეო დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა;

ლ) წინასწარი გამოძიების სტადიაზე შესაბამისი ექსპერტიზის ორგანიზება და ჩატარება;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 7. სამსახურის უფლებამოსილებანი

1. დანაშაულის ან სამართალთანდარღვევის გამოვლენა-აღკვეთის მიზნით სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში შეიძლება მოეწყოს შემოწმების პროცედურები, რა დროსაც სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალებები (გარდა დიპლომატიური, საკონსულო და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობისა); მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირის და სატრანსპორტო საშუალებების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახური უფლებამოსილია:

ა) მის კომპეტენციაში არსებული დანაშაულისა და/ან სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობისას გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მძღოლს ან სატრანსპორტო საშუალებაში მჯდომ სხვა პირს ტვირთის თანმხლები დოკუმენტები და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოხლეს, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოებისა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით) დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ექვიმიტანილია დანაშაულის ჩადენაში;

გ) მის კომპეტენციაში არსებული დანაშაულისა და/ან სხვა სამართალდარღვევის გამოვლენის, აღკვეთის, შესწავლის ან წინასწარი გამოძიების მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობა.

თავი III
ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების,
ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

მუხლი 8. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების,
ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს მინიჭებული უფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები, სამსახურებრივ-საშტატო და სამხედრო-საბრძოლო იარაღი.

2. მოსამსახურე ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქისა და მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

3. სპეციალური საშუალების სახეობა, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარების, სამართალდარღვევის ხასიათისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 9. ფიზიკური იძულების გამოყენება

მოსამსახურეს უფლება აქვს კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით გამოიყენოს ფიზიკური იძულება (მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები) დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავის ან/და სამართალდამრღვევის დასაკავებლად თუ ძალადობის მეთოდების გამოყენებლობა ვერ უზრუნველყოფს მოსამსახურის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 10. სპეციალური საშუალებების გამოყენება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურეს, კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ტრანსპორტის იძულებით გაჩერება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძალდი, ელექტროშოკური მოწყობილობა ამ მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ან/და საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი იმ პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს მოსამსახურეს, ან ცდილობს გაქცევას, ან იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები;

ბ) რეზინის ხელკეტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი განზრახ არ ემორჩილება მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნას;

გ) ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალება – იმ სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნა – შეეწყვიტა სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა (გადაადგილება);

დ) სპეციალური საღებავი – მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის გამოსავლენად;

ე) სასამსახურო ძაღლი – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად;

ვ) ელექტრომოკუური მოწყობილობა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად, ამ დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად, თუ არ არსებობს საფრთხის აცილების სხვა უფრო მსუბუქი საშუალება.

2. მოსამსახურე ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების შედეგად ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს ექიმს, ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად დაჭრის ან დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს და პროკურორს.

3. აკრძალულია ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახდენენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ მოსამსახურეს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და მოსამსახურეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

მუხლი 11. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. მოსამსახურეს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო და შესაბამისი კანონით ნებადართული სხვა სახის იარაღი.

2. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გასროლა ან მისი სხვაგვარად გამოყენება.

3. მოსამსახურეს უფლება აქვს აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი ღონისძიების სახით ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენოს:

ა) მოქალაქისა ან/და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსამახებლად;

დ) იძულებით გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დასაზიანებლად, თუ მძღოლი არ ემორჩილება თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ;

ე) კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემთხვევებში.

4. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

5. გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება:

ა) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

ბ) ტრანსპორტის გამოყენებით (ან სატრანსპორტო საშუალებიდან) დაკავებულის გაქცევის შემთხვევაში;

გ) დამნაშავის დაკავების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

დ) დაკავებულის შეზღუდული ხილვადობისას და ტყიან ადგილებში გაქცევისას;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

6. აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ, ფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე წინასწარი შეცნობით ორსულთა, მცირეწლოვანთა, ინვალიდთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ მოსამსახურეს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან მოსამსახურის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

7. მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ თავის უშუალო უფროსს და ზედამხედველ პროკურორს.

8. აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

9. სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV

სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

მუხლი 12. სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის

პრინციპები

1. დანაშაულის თავიდან აცილების ან მისი გახსნის მიზნით სამსახური ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას, შესაძლებელია სამსახურის შესაბამისი მოსამსახურის მონაცემების დაშიფვრა, კერძოდ იგი შეიძლება ირიცხებოდეს სამსახურის კადრებში და ფორმალურად მსახურობდეს (დაშიფრული მონაცემებით) სხვა დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში (დაშიფრისას არ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და რელიგიური ორგანიზაციების დასახელება). აღნიშნული კატეგორიის მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

თავი V სამსახურის ორგანიზება

მუხლი 13. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამსახურის ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები, აგრეთვე სამსახური უფლებამოსილები არიან განახორციელონ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო და/ან საბაჟო ორგანოების ფუნქციები, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციები.

2. სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონით, „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნას სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უფლებამოსილია თავისი საქმიანობა სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 14. წლიური ანგარიშები

ყოველი საგადასახადო წლის დამთავრების შემდეგ 3 თვის ვადაში სამსახური აქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის სახვადასხვა მიმართულებებზე. ანგარიშში აღინიშნება ის პირები, რომელთა საგადასახადო დავალიანება აღემატება 100 000 ლარს.

თავი VI სამსახური და მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 15. სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლები, მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება ამ კანონითა და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება სამსახურის

მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამ კანონითა და ამ პუნქტში მითითებული წესით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები.

3. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესში განისაზღვრება მოსამსახურეებთან არსებული სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის და განთავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძვლები. მითითებულ წესში განისაზღვრება აგრეთვე სამსახურში სტაჟირების საკითხები.

მუხლი 16. სამსახურის მოსამსახურე

1. სამსახურის მოსამსახურე არის საქართველოს სახელმწიფო მოსამსახურე.
2. მოსამსახურეს ენიჭება სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.
3. მოსამსახურეს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ჟეტონი.
4. მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მოთხოვნის გარეშე დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება მის საქმიანობას ან უკავშირდება მის სამსახურებრივ ადგილს.

მუხლი 17. სამსახურის მოსამსახურეთა სავალდებულო სამედიცინო შემოწმება

1. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება შესაბამისი მოსამსახურეების სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. შემოწმების არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გათვლისწინებით შესაბამისი პირი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ამ კანონის მე-19 მუხლის „ე.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად.
2. მოთხოვნები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამსახურის შესაბამისი თანამდებობის მიხედვით დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ.

მუხლი 18. შეზღუდვები სამსახურის გავლასთან დაკავშირებით

- სამსახურში არ შეიძლება მიღებულ იქნეს და მსახურობდეს:
- ა) ნასამართლესი პირი;
 - ბ) პირი, თუ მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს (ასეთი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში);
 - გ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებელი;

დ) პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, ან შეზღუდულ ქმედუნარიანად არის აღიარებული;

ე) პირი, რომლის მიმართაც არსებობს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის გარემოებები;

ვ) სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული სხვა პირი.

მუხლი 19. სამსახურის მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება

1. მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველია:

ა) სამსახურში სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული ასაკის მიღწევა ან ნამსახურობის ვადის ამოწურვა;

ბ) სამედიცინო ცნობის საფუძველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დასახიჩრება ან ქრონიკული დაავადება, რომლის გამოც აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ე) დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა, რაც გულისხმობს პირის სამსახურიდან განთავისუფლებას:

ე.ა) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

ე.ბ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად;

ე.გ) ჯანმრთელობის არაადაპტაციული მდგომარეობის გამო (შესაბამის თანამდებობზე);

ე.დ) გამოსაცდელი ვადის არაადაპტაციული მდგომარეობის გამო;

ე.ე) არაადაპტაციული პროფესიული ჩვევების გამო;

ვ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევა;

ზ) შტატების შემცირება;

თ) სხვა სამსახურში გადასვლა;

ი) პირადი განცხადება;

კ) დანაშაულის ჩადენა – კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ლ) თანამდებობრივი შეუთავსებლობა, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;

მ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება;

ნ) სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია;

ო) გარდაცვალება;

პ) მოქალაქეობის შეცვლა;

ჟ) პირის უფო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

რ) პირის ქმედუუნაროდ გამოცხადება;

ს) სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული შემთხვევები.

2. მოსამსახურე არ შეიძლება განთავისუფლდეს ნამსახურობის ვადის გასვლის საფუძველზე თუ მას აქვს დაკავებული ისეთი თანამდებობა, რომლიდანაც ამ საფუძველზე განთავისუფლების შემთხვევაში მასზე ვერ გავრცელდება 21-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები.

მუხლი 20. წახალისების ფორმები

მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება და მადლობის სიგელით დაჯილდოება;
- ბ) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- გ) 10 დღე-ღამის დამატებითი შვებულების მიცემა;
- დ) სამსახურის სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- ე) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
- ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა;
- ზ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისთვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

მუხლი 21. მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისთვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელეები:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) სასტიკი საყვედური;
- დ) სამსახურის სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
- ე) უფრო დაბალი თანრიგის (რანგის) თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა;
- ვ) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება;
- ზ) არა უმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
- თ) სამსახურიდან განთავისუფლება.

მუხლი 22. მოსამსახურის სოციალური დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამსახურის სოციალურ დაცვას.

2. მოსამსახურე ამ მუხლით დადგენილ შემთხვევებში და წესით სამსახურისათვის იღებს:

- ა) ხელფასს (თანამდებობრივი სარგო);
- ბ) თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ დანამატს;
- გ) კვების ულუფის ფინანსურ კომპენსაციას;
- დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხების ოდენობას, ამ თანხების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობების ჩამონათვალსა და მათი მიღების წინაპირობებს ადგენს საქართველოს ფინანსთა

მინისტრი. მოსამსახურეთა ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის მეუღლეს, შვილებსა და შრომისუნარო მშობლებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან პროპორციულად მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. თუ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება გააჩნიათ მხოლოდ მშობლებს მათ დახმარება მიეცემათ ყველა შემთხვევაში.

5. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მოსამსახურის დასახიჩრების ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში, მოსამსახურეს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი გარანტიები ვრცელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე.

მუხლი 23. მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა

1. მოსამსახურეთა უკანონო ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. ინტერესთა კონფლიქტი

მოსამსახურეს ეკრძალება პროფესიულ ვალდებულებათა შესრულება იმ პირის მიმართ:

- ა) რომლის ნათესავიც იგი არის;
- ბ) რომლის მიმართაც მას ან მის ნათესავს ან მის ოჯახს აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი.

თავი VII

სამსახურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 25. სამსახურის დაფინანსება

სამსახური, მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვანი განხორციელების მიზნით, ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თავი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 26. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების წარმოებაში არსებული საქმეები გადაეცეს სამსახურს მისი შექმნისთანავე.

2. ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაცია განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად. რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად ან ერთიანად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არაუგვიანეს 2007 წლის 1 აპრილისა უზრუნველყოს სამსახურის დებულებისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

3. იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციის საწყის ეტაპზე განხორციელდება მხოლოდ ორი უწყების გაერთიანება, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილება დებულებით მინიჭებული კომპეტენციების შესაბამისად განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო საქვეუწყებო დაწესებულებებმა.

4. ნორმატიულ აქტებში სადაც მითითებულია ფინანსური პოლიცია, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე, ამ აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებები განახორციელონ შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო საქვეუწყებო დაწესებულებებმა.

5. სამსახურში და სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში, განსაკუთრებული ნიშნით შექმნილ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინიშნებიან ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებულ/რეორგანიზებულ თანამდებობებზე, ტერიტორიულ ორგანოებში და სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მომუშავე პირები. ის თანამშრომლები, რომელთა გადაყვანა ახალ სამსახურში ვერ ხერხდება სამსახურის ან ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ნაწილის რეორგანიზების შედეგად შექმნილი ერთეულის საშტატო რიცხოვნებიდან ან შესაბამისი თანამდებობრივი რანგიდან გამომდინარე, ითვლებიან სამსახურიდან განთავისუფლებულებად. სამსახურში დასანიშნ პირებს შესაბამისი თანამდებობის ქვემდებარეობის მიხედვით ნიშნავს შესაბამისად სამსახურის უფროსი ან საქართველოს ფინანსთა მინისტრი. აღნიშნულ დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ ვრცელდება დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

6. გარდამავალ ეტაპზე ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული პირები (გარდა სამსახურის უფროსისა და მოადგილეებისა) სამსახურში ინიშნებიან ხელშეკრულებით არაუმეტეს 6 თვის ვადით ან მოვალეობის შემსრულებლად ან გამოსაცდელი ვადით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში მოსამსახურე ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, თუ მოსამსახურე თანახმა არაა სამსახურებრივი ურთიერთობები გააგრძელოს ხელშეკრულებით დადგენილი ვადით.

7. თუ რეორგანიზაცია ხორციელდება ეტაპობრივად ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტის მოთხოვნები შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ფინანსური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეებზე გავრცელდება მხოლოდ მათი რეორგანიზაციის შემდგომ. ამ მომენტამდე მოხდება შესაბამისი თანამდებობების პირების გადანიშნვა სამსახურის საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ტერიტორიული ორგანოების შესაბამის თანამდებობებზე.

8. ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან განთავისუფლებულ პირებს მიეცემათ კომპენსაცია სამსახურის შექმნის დღემდე არსებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. კომპენსაცია არ მიეცემა ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე სამსახურში დანიშნულ პირებს.

მუხლი 27. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი